ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს ელექტრონულ აუქციონს:

1.გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემისათვის ლოტი №30-ზე.

ა. ნებართვის მიღების საწყისი წლიური საფასური შეადგენს 2160.0 /ორი ათას ას სამოცი/ ლარს.

ბ. „ბეს“ ოდენობა შეადგენს 648.0 /ექვსას ორმოცდარვა/ ლარს.

გ. ბიჯი განისაზღვროს 100 /ასი/ ლარის ოდენობით.

დ. ნებართვის მფლობელისათვის ნებართვის გადაცემის ვადა შეადგენს 5 წელს, ვადა აითვლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის გაცემის დღიდან.

ე. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიმღები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან ანგარიშსწორებას ახდენს ყოველწლიურად.

ვ. სანებართვო პირობა: N30 ლოტით განსაზღვრულ ადგილზე სარეკლამო საშუალება /ალამის ტიპის/ უნდა მოეწყოს მიწისპირა ნიშნულიდან არანაკლებ +5 მ-ისა. სარეკლამო საშუალება უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე მასალებით დამზადებულ მოცულობას, რომლის გაბარიტული ზომები არ უნდა აღემატებოდეს ჰორიზონტალურად 6 მ. სიგრძეს და ვერტიკალურად 3 მ. სიგრძეს. სარეკლამო საშუალება უნდა იყოს კონსტრუქციულად მდგრადი, თანამედროვე საშუალებებით განათებული, უნდა შეეფერებოდეს ქალაქის იერსახეს, სამშენებლო ნორმებსა და წესებს, ასევე საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.